



თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

დადგენილება

ქ. თელავი

N 21  
31/07/2020

21-09-4-202007311807



თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი ,  
მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი  
მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი  
ჯილდოს დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „სპორტის შესახებ“ მე-7 მუხლის თანახმად:

**მუხლი 1.**

დაწესდეს თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების (ინდივიდუალური სპორტის სახეობის შემთხვევაში იგულისხმება პირველი მწვრთნელი) წახალისების მიზნით ფულადი ჯილდო და მისი ოდენობა განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2.**

დადგენილება ძალაშია 2021 წლის 01 იანვრიდან.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



თელავის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების და სპორტული კლუბების წევრი , მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ

**მუხლი 1.** პირები, რომლებზეც ვრცელდება წინამდებარე დადგენილება:

1. ფულადი ჯილდო გადაეცემა თელავის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებს, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ თელავის მუნიციპალიტეტში.
2. ფულადი ჯილდო აგრეთვე გადაეცემა იმ მწვრთნელებს, რომლებიც სამწვრთნელო საქმიანობას ახორციელებენ თელავის მუნიციპალიტეტში და რომელთა მიერ მომზადებულმა თელავის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებმა დაიკავეს წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული საპრიზო ადგილები.

**მუხლი 2.** წინამდებარე დადგენილება არ ვრცელდება კომერციულ ტურნირებში მონაწილე სპორტსმენებზე.

**მუხლი 2.** ფულადი ჯილდოს ოდენობის შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების (პირველი მწვრთნელი) წახალისების მიზნით დაწესდეს ფულადი ჯილდო შემდეგი ოდენობით:

1. ოლიმპიური თამაშები:

- ა) პირველი ადგილი – 10 000 ლარი, მწვრთნელი – 5 000 ლარი;
- ბ) მეორე ადგილი – 7 000 ლარი, მწვრთნელი – 3500 ლარი;
- გ) მესამე ადგილი – 5 000 ლარი; მწვრთნელი – 2 500 ლარი.

2. მსოფლიო პირველობა, უფროსი ასაკი:

- ა) პირველი ადგილი – 7000 ლარი, მწვრთნელი – 3500 ლარი;
- ბ) მეორე ადგილი – 5000 ლარი, მწვრთნელი – 2500 ლარი;
- ბ) მესამე ადგილი – 3000 ლარი, მწვრთნელი – 1500 ლარი;

3. მსოფლიო პირველობა, ახალგაზრდები:

- ა) პირველი ადგილი – 5000 ლარი, მწვრთნელი – 2500 ლარი;
- ბ) მეორე ადგილი – 3000 ლარი, მწვრთნელი – 1500 ლარი;
- გ) მესამე ადგილი – 2000 ლარი, მწვრთნელი – 1000 ლარი;

4. მსოფლიო პირველობა, ჭაბუკები და გოგონები (16 წელი და ზემოთ):

ა) პირველი ადგილი – 3000 ლარი, მწვრთნელი – 1500 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 2000 ლარი, მწვრთნელი – 1000 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 1500 ლარი, მწვრთნელი – 750 ლარი;

5. ევროპის პირველობა, უფროსი ასაკი:

ა) პირველი ადგილი – 6000 ლარი, მწვრთნელი – 3000 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 4000 ლარი, მწვრთნელი – 2000 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 2000 ლარი, მწვრთნელი – 1000 ლარი;

6. ევროპის პირველობა, ახალგაზრდები:

ა) პირველი ადგილი – 4000 ლარი, მწვრთნელი – 2000 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 2500 ლარი, მწვრთნელი – 1250 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 1500 ლარი, მწვრთნელი – 750 ლარი.

7. ევროპის პირველობა, ჭაბუკები და გოგონები (16 წელი და ზემოთ):

ა) პირველი ადგილი – 3000 ლარი, მწვრთნელი – 1500 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 2000 ლარი, მწვრთნელი – 1000 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 1000 ლარი, მწვრთნელი – 500 ლარი.

8. საქართველოს პირველობა, უფროსი ასაკი:

ა) პირველი ადგილი – 1850 ლარი, მწვრთნელი – 1250 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 1250 ლარი, მწვრთნელი – 850 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 650 ლარი, მწვრთნელი – 650 ლარი.

9. საქართველოს პირველობა, ახალგაზრდები:

ა) პირველი ადგილი – 500 ლარი, მწვრთნელი – 250 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 400 ლარი, მწვრთნელი – 200 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 350 ლარი, მწვრთნელი – 175 ლარი.

10. საქართველოს პირველობა, ჭაბუკები და გოგონები:

ა) პირველი ადგილი – 400 ლარი, მწვრთნელი – 200 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 350 ლარი, მწვრთნელი – 175 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 300 ლარი, მწვრთნელი – 150 ლარი.

11. არაოლიმპიურ სახეობებში მოასპარეზე სპორტსმენებს ფულად ჯილდოებს გადასცემს მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

პირველობა ვეტერანებს შორის (სპორტის ოლიმპიურ სახეობებში)

12. მსოფლიო პირველობა:

ა) პირველი ადგილი – 5000 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 4000 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 3000 ლარი.

სპორტის გუნდური სახეობები:

13. საქართველოს ჩემპიონატი, უფროსი ასაკი უმაღლესი დივიზონი:

ა) პირველი ადგილი – 20000 ლარი, მწვრთნელი – 1250 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 10000 ლარი, მწვრთნელი – 850 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 5000 ლარი, მწვრთნელი – 650 ლარი.

14. საქართველოს ჩემპიონატი, ახალგაზრდები:

ა) პირველი ადგილი – 5000 ლარი, მწვრთნელი – 1000 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 4000 ლარი, მწვრთნელი – 800 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 3000 ლარი, მწვრთნელი – 600 ლარი.

15. საქართველოს ჩემპიონატი, ჭაბუკები და გოგონები;

ა) პირველი ადგილი – 2500 ლარი, მწვრთნელი – 1250 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 1700 ლარი, მწვრთნელი – 850 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 1300 ლარი, მწვრთნელი – 650 ლარი.

საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპისა და მსოფლიოს ტურნირები

16. უფროსი ასაკი:

ა) პირველი ადგილი – 1250 ლარი, მწვრთნელი – 625 ლარი;

ბ) მეორე ადგილი – 1000 ლარი, მწვრთნელი – 500 ლარი;

გ) მესამე ადგილი – 750 ლარი, მწვრთნელი – 375 ლარი.

17. ახალგაზრდები:

- ა) პირველი ადგილი – 750 ლარი, მწვრთნელი – 375 ლარი;
- ბ) მეორე ადგილი – 650 ლარი, მწვრთნელი – 325 ლარი;
- გ) მესამე ადგილი – 500 ლარი, მწვრთნელი – 250 ლარი;

18. ჭაბუკები და გოგონები:

- ა) პირველი ადგილი – 600 ლარი, მწვრთნელი – 300 ლარი;
- ბ) მეორე ადგილი – 500 ლარი, მწვრთნელი – 250 ლარი.
- გ) მესამე ადგილი – 300 ლარი, მწვრთნელი – 150 ლარი.

გუნდური სპორტის შემთხვევაში მიღებული ჯილდო გადანაწილდეს გუნდის ყველა წევრზე თანაბრად.

მუხლი 3. ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ

ფულადი ჯილდოს გადაცემას, ამ წესის შესაბამისად, აღასრულებს თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

ერთჯერადი ფულადი ჯილდოს მიღები პირი, ერთჯერადი ჯილდოს მიღების მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტი (მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მითითებით)
- გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირველი მწვრთნელობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საბანკო ანგარიშის ნომერი.

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო